საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ ჩემს ფ/პ ბადრი წულაია (**42001029203**) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია - **45.13.21.083**, მოწყობილი მაქვს სასათბურე მეურნეობა 1300 m^2–ზე. სასათბურე მეურნეობის წყალმომარაგების მიზნით დაგეგმილია მდ. ხობისწყალზე წყლის აღება, რომელიც სათბურამდე მიყვანის მიზნით ითვალისწინებს მცირე ზომის სარწყავი სისტემის მოწყობას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასათბურე მეურნეობის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით დანართის სახით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი - სკრინინგის ანგარიში
სქემატური რუკა (აეროფოტო)
მიწის საკუთრების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

პატივისცემით
ფ/პ ბადრი წულაია (42001029203)

13.10.2019 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 14944
21 " 10 2019
1/7/СВ.
02 + სოფლისადმი

13/10/2019

ფ/პ ბადრი წულაია

ხობის მუნიციპალიტეტ სოფ. ქარიატაში
სასათბურე მეურნეობისთვის სარწყავი
სისტემის მოწყობა

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი ი/მ ლევან ზარანდია(62702019014)
ტ. 574 552505

ქ. ზუგდიდი, 2019 წელი

1. შესავალი

ფ/პ ბადრი წულაიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია - **45.13.21.083**, მოწყობილი აქვს სასათბურე მეურნეობა 1300 m^2–ზე. სასათბურე მეურნეობის წყალმომარაგების მიზნით ბადრი წულაია გეგმავს მდ. ხობისწყალიდან წყლის აღებას, რომელიც სათბურამდე მიყვანის მიზნით ითვალისწინებს მცირე ზომის სარწყავი სისტემის მოწყობას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასათბურე მეურნეობის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი. ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი #1

საქმიანობის განმახორციელებელი	ფ/პ ბადრი წულაია
იურიდიული მისამართი	ქ. ფოთი , შალვა ამირანაშვილის ქ. N 80
საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი	პ/ნ 42001029203
საქმიანობის სახე	სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მოყვანა
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქარიატა

2. სასათბურე მეურნეობის ადგილმდებარეობა და ტექნოლოგიური პროცესი

სასათბურე მეურნეობა 1300 m^2 მოწყობილია ფ/პ ბადრი წულაიას კუთვნილ 3302 m^2 მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: **45.13.21.083**

წერტილი საიდანაც მოხდება წყლის აღება, სასათბურე მეურნეობიდან დაშორებულია 420 მ მანძილით. შესაბამისად, სარწყავი სისტემის საერთო სიგრძე იქნება 420 მეტრი, ხოლო მოწყობა განხორციელდება 50 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილებით.

მდ. ხობისწყლიდან წყალაღების წერტილის GPS(37 ზონა) კოორდინატებია:

N	X	Y
1	724356	4682603

ფ/პ ბადრი წულაიას მოწყობილი აქვს სასათბურე მეურნეობა, სადაც ხდება ბოსტნეულის, კერძოდ კიტრისა და პომიდვრის კულტურების მოყვანა. იგი წლის განმავლობაში აწარმოებს საშუალოდ 5-7 ტ კიტრსა და პომიდორს, რომლის მოსარწყავად გამოყენებული იქნება 1000 m^3 წყალი 1 წლის განმავლობაში.

50 მმ წყალმომარაგების მილი განთავსდება მხოლოდ მიწის ზედაპირზე,ასევე სანიაღვრე არხის გაყოლებაზე, მილებისთვის გამოყენებული იქნება არხის ტრანშეა და ახალი თხრილის გაჭრა საჭირო არ იქნება. მილის განთავსების ტერიტორია სრულად განეკუთვნება ადგილობრივ თვითმართველობას და სამუშაოების დაწყებამდე შეთანხმდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.

მდ. ხობისწყლიდან აღებული წყალი, მილების საშუალებით მიეწოდება 3ტ. ტევადობის რეზერვუარს, საიდანაც მოხდება მცენარეების მორწყვა.

ტერიტორია, სადაც დაგეგმილია სარწყავი სისტემის მოწყობა უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი, დაცილებულია დაახლოებით 240 მეტრით.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის დაცული ტერიტორია.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში მიწისა და გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან სამუშაოების პროცესში არაა გათვალისწინებული

სპეცტექნიკის გამოყენება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ნიადაგის დაბინძურება საწვავით და ასევე საზეთ-საპოხი მასალებით. გარდა ამისა, მილის მონტაჟისას მიწის სამუშაოები გათვალისიწინებული არ არის

ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული გზები.

3. საწარმოს მიერ გამოყენებული მასალები

ფ/პ ბადრი წულაიას მიერ, სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით გამოყენებული იქნება 420მ სიგრძის და 50 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილი, ასევე 1 ცალი 1,5 მ³/სთ წარმადობის ტუმბო მდინარიდან წყლის ამოსატუმბად.

4. საწარმოს მიერ სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში გამოსაყენებელი რესურსები

წყლის ტუმბო იმუშავებს ელექტროენერგიაზე და წელიწადში მოიხმარს საშუალოდ 100 კილოვატ ელ. ენერგიას.

5. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

სასათბურე მეურნეობა წელიწადში მოიხმარს 1000 მ³ ზედაპირულ წყალს. ვინაიდან წყალი გამოიყენება ბოსტნეული კულტურების მოსარწყავად, საწარმოს მიერ წყალჩაშვებას ადგილი არ ექნება.

6. სარწყავი სისტემის მოწყობის დროს ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა

სარწყავი სისტემის მოწყობის დროს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები არ წარმოიქმნება.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 45.13.21.083**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882015586211 - 15/10/2015 10:04:30

მომზადების თარიღი
21/10/2015 09:25:57

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ხობი	ქარიატა		
45	**13**	**21**	**083**

მისამართი: მუნიციპალიტეტი ხობი , სოფელი ქარიატა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო)

დაზუსტებული ფართობი: 3302.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015586211 , თარიღი 15/10/2015 10:04:30
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/10/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:15/10/2015 ,სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"

მესაკუთრეები:
ბადრი წულაია ,P/N: 42001029203

მესაკუთრე:
ბადრი წულაია

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

წყალაღების წერტილი